ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1932 წლის იანვრის 24	№ 2 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.

შინაარსი:

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

მუხ. 16. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან ამიერკავკასიის რადიომაუწყებლობის კომიტეტის მოწყობის შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

17. სოფლის მეურნეობის სახელმწიფო სექტორის ხარჯების დაფინანსების მთავარი ინსპექციის ამიერკავკასიის განყოფილების მოწყობის შესახებ.

18. სახელმწიფო ტრესტის „დუბიტელ“-ის (მთრიმლავის) ამიერკავკასიის სამხარეო დამმზადებელი კონტორის მოწყობის შესახებ.

19. 1932 წლის პირველი კვარტალის სადამკვრელო კვარტალად გამოცხადებისა შეშა-ხეტყის დამზადებისათვის ა/კსფსრ-ში და მისი ჩატარების შესახებ.

20. ა/კსფსრ-ში სოფლის კულტურული და სამეურნეო მშენებლობის საჭიროებისათვის დაწესებული გამოსაღების ჩატარების ღონისძიებათა შესახებ.

21. ა/კსფსრ ტერიტორიაზე ოთხფეხი საქონლის ერთიანი აღნუსხვის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

16. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან ამიერკავკასიის რადიომაუწყებლობის კომიტეტის მოწყობის შესახებ.

სსრკ-ში რადიო მაუწყებლობის საქმის რეორგანიზაციასთან და ამ საქმის სრულიად საკავშირო რადიომაუწყებლობის კომიტეტისათვის გადაცემასთან დაკავშირებით—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. მოწყობილ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან ამიერკავკასიის რადიომაუწყებლობის კომიტეტი.

2. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული ამიერკავკასიის რადიომაუწყებლობის კომიტეტი დამტკიცებულ იქნეს შემდეგი შედგენილობით:

თავმჯდომარე—ამხ. იბრაჰიმ თაღიევი.

თავმჯდომარის მოადგილე—ამხ. ალექსანდრე სტურუა.

საქართველოს სსრ კომიტეტიდან—ამხ. პიმენ ხობუა.

აზერბაიჯანის სსრ „ —ამხ. ნ. გორდიენკო.

სომხეთის სსრ „ —ამხ. კარაგულიანი.

ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის სამმართველოდან—ამხ. მნაცაკანოვი.

ერთი განთავისუფლებული წევრი სექტორების ხელმძღვანელთაგან.

ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარმომადგენელი—ამხ. სოსიანი.

ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრის წარმომადგენელი—ამხ. ა. ცხვეტაძე.

კავკასიის წითელდროშიანი არმიის პოლიტიკური სამმართველოს წარმომადგენელი—ამხ. პ. ი. ბარბარინსკი.

ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელი—ამხ. ნ. სარჭისოვი.

ალკკ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წარმომადგენელი.

ა/კ. სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირის წარმომადგენელი.

3. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებულ ამიერკავკასიის რადიომაწყებლობის კომიტეტს—შეიმუშაოს, ერთი თვის ვადაზე, სრულიად საკავშირო რადიომაუწყებლობის კომიტეტის დებულების საფუძველზე, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული ამიერკავკასიის რადიომაუწყებლობის კომიტეტის დებულება და წარმოუდგინოს იგი ამიერკავკისიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს დასამტკიცებლად.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—მიაწყონ თავიანთთან ანალოგიური რადიო მაუწყებლობის კომიტეტები.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ვ. სულთანოვი.**

1932 წ. იანვრის 8.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

17. სოფლის მეურნეობის სახელმწიფო სექტორის ხარჯების დაფინანსების მთავარი ინსპექციის ამიერკავკასიის განყოფილების მოწყობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა მოეწყოს სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მთავარი საფინანსო ინსპექციის ამიერკავკასიის განყოფილება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. იანვრის 1.
№ 439.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

18. სახელმწიფო ტრესტის „დუბიტელ"-ის (მთრიმლავის) ამიერკავკასიის სამხარეო დამმზადებელი კონტორის მოწყობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი, რათა ქ. ტფილისში მოეწყოს სამთრიმლავო-საექსტრაქტო მრეწველობის სახელმწიფო ტრესტის „დუბიტელ"-ის (მთრიმლავის) ამიერკავკასიის სამხარეო დამმზადებელი კონტორა—მცენარეული სამთრიმლავო მასალის დამზადებისა და ამ მასალით ტყავის მრეწველობის მომარაგების ფუნქციებით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. იანვრის 10.
№ 44„.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

19. 1932 წლის პირველი კვარტალის სადამკვრელო კვარტალად გამოცხადებისა შეშა-ხეტყის დამზადებისათვის ა/კსფსრ-ში და მისი ჩატარების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ შეშა-ხეტყის დამზადებას უკანასკნელ ხანში რამოდენადმე ამოძრავება დაეტყო, მაგრამ მაინც ხეტყის დამზადებელმა ორგანიზაციებმა (ა/კ. ტყე-ქაღალდის ტრესტმა, საკურორტო სამმართველომ, ა/კ. სატყეო ტრანსპორტმა და სხვ.) არ შეასრულეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი 1931 წ. ოქტომბრის 16-ისა:—„ხეტყის დამზადების და გამოზიდვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ (გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 294 №-ში 1931 წ. ოქტომბრის 25-ს) და 1931 წ. ნოემბრის 17-სა— „მე-IV კვარტალში ხეტყის დამზადებისა და გამოზიდვის გეგმის შესახებ“. მე-IV კვარტალში შეშის დამზადების საგეგმო დავალება ა/კ. ტყე ქაღალდის ტრესტმა დეკემბრის 20-თვის შეასრულა მხოლოდ 20%-ით, ხოლო ხეტყის მასალის დამზადებისა და გამოზიდვის საგეგმო დავალება—10%-ით; საკურორტო სამმართველომ ხეტყის მასალის დამზადება შეასრულა 62,7%-ით და გამოზიდვა—51,5%-ით; შეშის დამზადება—44,1%-ით და გამოზიდვა—7,3%-ით.

2. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო წინადადებას აძლევს დამმზადებელ ორგანიზაციებს—სავსებით შეასრულონ 1932 წ. პირველი კვარტალის გეგმა და უზრუნველჰყონ 1931 წ. უკანასკნელი კვარტალების გეგმების შეუსრულებელი ნაწილის დაფარვა, რისთვისაც პერიოდი 1932 წ. იანვრის 1-დან 1932 წ. აპრილის 1-დე გამოცხადებულ იქნეს სადამკვრელო კვარტალად შეშა-ხეტყის დამზადებისა, წყლით ჩამოტივტივებისა და გამოზიდვისათვის.

3. სადამკვრელო კვარტალი ჩატარებულ იქნეს ფართოდ გაშლილი საბრიგადო მეთოდით მუშაობისა, სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის საფუძვლებზე; ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს:

ა) მუშა-ძალისა და საჭაპანზიდვო ძალების მოწყობასა და მოგროვებას;

ბ) შეშა-ხეტყის დამზადების ადგილებში გზების გაყვანას და რემონტს;

გ) შეშა-ხეტყის დამზადებაზე მოსაქმე მუშების მომარაგებისა და მატერიალური, საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების გაუმჯობესებას;

დ) საკუთარი ტრანსპორტის მოწყობასა და გაუმჯობესებას;

ე) თავის დროზე და დაუცადებლად შეშა-ხეტყის დამზადებათა დაფინანსებას;

ვ) ხეტყის მასალის თავის დროზე რკინის გზით გამოზიდვას.

4. ეთხოვოს ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს—მოახერხოს გადამწყვეტი გარდატეხის მოხდენა ადგილობრივი პროფესიონალური ორგანიზაციების მუშაობაში შეშა-ხეტყის დამზადების საქმის გარშემო, რისთვისაც გაშლილ უნდა იქნეს კამპანია შემხვედრი გეგმის მოწყობისა, შრომის ნაყოფიერების გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდებისა, მუშა-ძალის დენადობასთან ბრძოლისა და შეშა-ხეტყის დამზადებაზე მოსაქმე მუშებს შორის მუშაობის საბრიგადო მეთოდის შთანერგვისათვის, და უნდა გაიგზავნონ სატყეო სამრეწველო მეურნეობებში პროფესიონალურ კავშირთა მომუშავენი—ადგილებზე პროფესიონალური მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად და ამ მუშაობის ფართოდ გასაშლელად.

5. სატყეო-სამრეწველო მეურნეობებისა, სატყეო-სატრანსპორტო მეურნეობებისა და სატყეო მეურნეობებისათვის ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად მთლად სადამკვრელო პერიოდის განმავლობაში ყველა ხეტყის დამმზადებელმა ორგანიზაციამ უნდა წარავლინოს ადგილებზე აპარატის პასუხისმგებელი მომუშავენი. რაიონებში წარვლინებულ მომუშავეთა გვარები ერთი დეკადის ვადაზე ეცნობოს შეშა-ხეტყის დამზადებისათვის დანიშნულ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებულ რწმუნებულს.

6. შეშა-ხეტყის დამზადების ნორმალური მსვლელობის უზრუნველსაყოფად და სადამკვრელო კვარტალის ჩატარებისათვის ხელის შესაწყობად შეშა-ხეტყის დამზადების რაიონებში დაარსებულ იქნეს პასუხისმგებელი სამეულები შემდეგი შედგენილობით: აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, კომუნისტური პარტიის (ბ) სარაიონო კომიტეტის წარმომადგენელი და სატყეო-სამრეწველო მეურნეობის დირექტორი.

7. აღსანიშნავია-რა სრულიად არადამაკმაყოფილებელი მუშაობა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების უმეტესი ნაწილისა შეშის გამოზიდვისათვის ადგილებზე მუშა-ძალისა და საჭაპანზიდვო ძალების მოგროვების ორგანიზაციის საქმეში, დაევალოს ხეტყის დამზადების რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, განსაკუთრებით თელავისა, თაუზისა, ხაჩმაზისა, ფოთისა, ხეთისა და ლენქორანის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა პირადი პასუხისმგებლობით, მოაწყონ საჭირო რაოდენობის მუშა-ძალის და საჭაპანზიდვო ძალების მოგროვება შეშისა და ხეტყის მასალის თავის დროზე და მთლად გამოზიდვისათვის რკინის გზის ლიანდაგამდე.

8. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—შეშა-ხეტყის დამზადებისათვის დანიშნული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული რწმუნებულის დასახმარად გამოჰყონ რესპუბლიკანური რწმუნებულნი, რომელთაც დააკისრონ შეშა-ხეტყის დამზადების მსვლელობისათვის მეთვალყურეობის გაწევა; ამასთანავე, მოახდინონ პასუხმგებელ მომუშავეთა მობილიზაცია ძირითადი დამზადების რაიონების ორგანიზაციების დასახმარად სადამკვრელო პერიოდის განმავლობაში.

9. ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრმა და რესპუბლიკანურმა საკოლმეურნეო ცენტრებმა, ხეტყის დამმზადებელ ორგანიზაციებთან ერთად, უნდა შეიმუშაონ ერთი დეკადის ვადაზე პრაქტიკული ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს დამზადების რაიონებში საჭირო მუშა-ძალისა და საჭაპანზიდვო ძალის გამოსვლას დადებული ხელშეკრულებების თანახმად, და მიამაგრონ თავიანთი პასუხისმგებელი მომუშავენი სადამკვრელო პერიოდის განმავლობაში ხეტყის დამზადების უმნიშვნელოვანესი რაიონების სარაიონო საკოლმეურნეო კავშირებზე. ამის აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულება აცნობონ შეშა-ხეტყის დამზადებისათვის დანიშნულ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებულ რწმუნებულს არა უგვიანეს ა/წ. თებერვლის 5-სა.

10. წინადადება მიეცეს ა/კ. რკინის გზების დირექციას—სავსებით შეასრულოს ყოველ დღედაღამეში ვაგონების მიყენების ნორმა: შეშისათვის—80 ვაგონის რაოდენობით და ხეტყის მასალისათვის—65 ვაგონის რაოდენობით.

11. ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატმა, ა/კ. სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირმა და „სოიუზპრომკორმ"-მა უნდა უზრუნველჰყონ მე-IV კვარტალის დამტკიცებული ფონდების ფარგლებში შეშა-ხეტყის დამზადებათა დაუცადებელი მომარაგება სამრეწველო და სასურსათო საქონლით და აგრეთვე ფურაჟით—ისეთი ვარაუდით, რომ მეოთხე კვარტალის ფონდები რეალურად მიღებულ იქნეს ადგილებზე არა უგვიანეს 1932 წლის თებერვლის 25-სა.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა უზრუნველჰყონ I კვარტალის სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფონდების რეალიზაცია ისეთი ვარაუდით, რომ ეს ფონდები მიღწევინებულ იქნეს შეშა-ხეტყის დამზადების ადგილებამდე არა უგვიანეს 1932 წ. თებერვლის 10-სა.

ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატმა, ა/კ. სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირმა და „სოიუზპრომკორმ"-მა უნდა წარუდგინონ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებულ რწმუნებულს, არა უგვიანეს თებერვლის 1-სა, მოხსენებები ამა პუნქტის შესრულების შესახებ, ხოლო რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა აცნობონ მასვე არა უგვიანეს თებერვლის 25-სა შეშა-ხეტყის დამზადებათა მომარაგების მსვლელობა.

12. საქართველოს სატყეო სამომხმარებლო საზოგადოებამ ორი დღის ვადაზე უნდა წარუდგინოს შეშა-ხეტყის დამზადებისათვის დანიშნულ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებულ რწმუნებულს ზედმიწევნითი ცნობები იმ სასურსათო და სამრეწველო საქონლის შესახებ, რაც ფაქტიურად მის და რკინის გზის საწყობებშია, ხოლო განსაკუთრებულმა რწმუნებულმა ორი დღის ვადაზე უნდა შემოიტანოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში პროექტი დადგენილებისა იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც უზრუნველჰყოფს სატყეო კოოპერაციის ნორმალურ დაფინანსებას.

13. წინადადება მიეცეს ა/კ. სამომხმარებლო-საგამსაღებლო ტრესტს—უზრუნველჰყოს ხეტყის დამზადებელი ორგანიზაციები სპეცტანისამოსით სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი ნორმების ფარგლებში, და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ტყავის ფეხსაცმელს.

14. წინადადება მიეცეს „მეტიზობედინენიე"-ს—დაუყოვნებლივ გამოჰყოს 1932 წლის I კვარტალის ცენტრალიზებული ფონდების ანგარიშში სანალე ლურსმნისა, ცხენის ნალებისა, სათრევი ჯაჭვებისა, მავთულის ლურსმნისა, ხისტი მავთულისა, ტროსსებისა და სხვა მისთ. საკვარტალო ნორმის 20—25%-ი.

15. წინადადება მიეცეს „სტალსბიტ"-ს იმავე წესით დაუყოვნებლივ გაიღოს საჭირო რაოდენობის რგვალი, კვადრატული და ზოლოვანი რკინა და საბურღო ფოლადი.

16. „მეტიზობედინენიე“-მ და „სტალსბიტ“-მა ერთი დეკადის ვადაზე უნდა აცნობონ შეშა-ხეტყის დამზადებისათვის დანიშნულ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებულ რწმუნებულს ამა პუნქტების აღსრულება.

17. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—გაიღოს 1932 წ. I კვარტალის განმავლობაში 10.000 წყვილი მამაკაცის ჩუსტი და აქედან ახლავე გასცეს სასაწყობო ხელთქონებულობიდან 3.000 წყვილი.

ამის გარდა, ახლავე მისცეს სარეწაო კავშირს ტყავი 4.000 წყვილი ქალამნის დასამზადებლად.

18. სარეწაო კავშირმა და 26 კომუნარის არტელმა უნდა დააჩქარონ პირველი ხარისხის ქალამნის დამზადება და ყოველდღე უნდა ჩააბარონ არა ნაკლებ 200 წყვილისა.

19. შეშა-ხეტყის დამზადებელმა ორგანიზაციებმა უნდა მოახდინონ თებერვლის 15-თვის შეშა-ხეტყის დამზადებაზე მოსაქმე მუშებისადმი დავალიანების ლიკვიდაცია და უზრუნველჰყონ იანვრის 25-დე ლიმიტებისა და საბრუნავი სახსარის სატყეო-სამრეწველო მეურნეობებამდე მიწვდენა.

20. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებმა დაუყოვნებლივ უნდა შეამოწმონ, რამდენად უზრუნყოფილ არიან სატყეო-სამრეწველო მეურნეობები და ხეტყის ქარხნები საჭირო მედპერსონალით, და მიაწოდონ შეშა-ხეტყის დამზადების საქმეს საკმაო რაოდენობის მედიკამენტები, განსაკუთრებით მალარიან რაიონებში.

ამის აღსრულება ორი დეკადის ვადაზე აცნობონ შეშა-ხეტყის დამზადებისათვის რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ დანიშნულ განსაკუთრებულ რწმუნებულთ.

21. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს, ხეტყის დამმზადებელ ორგანიზაციებთან ერთად, გამოარკვიოს ერთი დეკადის ვადაზე ის რაიონები და სოფლები, საიდანაც გადიან ტყის მჭრელნი, წყლით ჩამომტივტივებელნი და შპალების მთლელნი და ააცილოს საქმეს ერთსა და იმავე რაიონში რამდენიმე ორგანიზაციის მიერ უგეგმოდ და პარალელურად მუშაძალის მოგროვების შემთხვევები, რასაც მასსური ხასიათი აქვს.

წინადადება მიეცეს დამმზადებელ ორგანიზაციებს—მუშა-ძალისა და საჭაპანზიდვო ძალის მოგროვების წარმატებით მსვლელობისათვის შემოიღონ შეშა-ხეტყის დამზადების რაიონეაში მომგროვებელთა საშტატო ერთეულები და ეს შტატები დააკომპლექტონ მომზადებული მუშებით სსრკ-ის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1931 წ. აგვისტოს 28-ის დადგენილების მიხედვით.

22. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებულ რწმუნებულს, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან ერთად, იხმაროს ღონისძიება—ყველა ხეტყის დამმზადებელი ორგანიზაციისაგან 1932 წლის შეშა-ხეტყის დამზადებათა გეგმების მისაღებად და ჯუმლობითი გეგმა წარმოუდგინოს დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს არა უგვიანეს 1932 წ. თებარვლის 15-სა.

23. აღინიშნოს, რომ ხეტყის დამმზადებელი ორგანიზაციებისა და შეშა-ხეტყის დამზადების რაიონების სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მუშაობა კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა შორის „გარე სამუშაოზე გასვლის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივნისის 30-ის დადგენილებისა და „შეშა-ხეტყის დამზადების და გამოზიდვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ოქტომბრის 16-ის დადგენილების პოპულიარიზაციისათვის სუსტია, მაშინ, როდესაც ამ დადგენილებებით მთელი რიგი შეღავათები ეძლევათ შეშა-ხეტყის დამზადებაზე მოსაქმე მუშებს, და წინადადება მიეცეთ აღნიშნულ ორგანიზაციებს—დაუყოვნებლივ ფართოდ გაშალონ საამისო აღსნა-განმარტებითი მუშაობა.

24. შეშა-ხეტყის დამმზადებელმა ორგანიზაციებმა უნდა იხმარონ ღონისძიება, რათა სატყეო-სამრეწველო მეურნეობებში, სატყეო-სატრანსპორტო მეურნეობებში და სხვა მისთ. აუცილებლად შემოღებულ იქნეს მუშა-ძალის წესიერი აღნუსხვა—ა/სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული რწმუნებულისათვის და რესპუბლიკანური შრომის ორგანოებისათვის მუშა-ძალისა და საჭაპანზიდვო ძალის მოძრაობის სადეკადო ანგარიშების წარდგენით.

25. ცენტრალური და სარაიონო გაზეთების რედაქციებმა უნდა გაშალონ ფართო კამპანია შეშა-ხეტყის დამზადების სადამკვრელო კვარტალის გარშემო საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციისათვის.

26. მოსმენილ იქნეს არა უგვიანეს 1932 წ. თებერვლის 15-სა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული რწმუნებულის მოხსენება შეშა-ხეტყის დამზადების მსვლელობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. იანვრის 21.
№ 441.
ტფილისი.
გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს მე-20 №-ში 1932 წ. იანვრის 24-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

16. ა/კსფსრ-ში სოფლის კულტურული და სამეურნეო მშენებლობის საჭიროებისათვის დაწესებული გამოსაღების ჩატარების ღონისძიებათა შესახებ.

„სოფლის კულტურული და სამეურნეო მშენებლობის საჭიროებისათვის გამოსაღების დაწესების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. იანვრის 17-ის

დადგენილების თანახმად („სსრკ-ის ცენ. აღმ. კ-ტის იზვესტია"-ს მე-18 №-რი, იანვრის 18-სა) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1932 წ. იანვრის 17-ის, დადგენილების მე-6 და 11 მუხლების შესაბამისად მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დააწესონ:

ა) გამოსაღების მტკიცე განაკვეთები რაიონებზე—სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს იმავე, 1932 წ. იანვრის 17-ის, დადგენილების მე-4 მუხლის „ა" და „ბ" პუნქტებში და მე-5 მუხლის „ა" პუნქტში ჩამოთვლილ მეურნეობათა კატეგორიებისათვის;

ბ) გამოსაღების გადახდის ვადები—ისეთი ვარაუდით, რომ გამოსაღების შეკრეფა დაწყებულ იქნეს თებერვლის 1-დან და გადახდევინებულ სრულად არა უგვიანეს 1932 წ. მაისის 1-სა, ხოლო მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, კოოპერირებული შინამრეწველებისა და ხელოსნებისათვის—არა უგვიანეს 1932 წ. ოქტომბრის 1-სა.

2. ზემოაღნიშნული დადგენილების მე-13 მუხლის თანახმად უფლება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—ცალკეული სოფლების მოსახლეობა სრულიად გაანთავისუფლონ ხოლმე გამოსაღებისაგან.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ტერ-გაბრიელიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. იანვრის 23.
№ 442.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 21 №-ში 1932 წ. იანვრის 26 ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

21. ა/კსფსრ ტერიტორიაზე ოთხფეხი საქონლის ერთიანი აღნუსხვის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ.

მეცხოველეობის განვითარებისა და რეკონსტრუქციისათვის და სახალხო მეურნეობის ამ დარგში დაბანდებულ უდიდეს სახსართა მაქსიმალობით სამეურნეოდ გამოყენებისათვის 1932 წლის გეგმით დასახული ღონისძიებების წარმატებით განსახორციელებლად საჭიროა მესაქონლეობის მდგომარეობისა, საქონლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხვისა, მისი შედგენილობისა და აგრეთვე ცალკეულ სექტორებზე და ძირითად ჯიშებზე განაწილების საკითხის სრული და ზედმიწევნით ცოდნა.

ამის გამო ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, „ოთხფეხი საქონლის ერთდროული აღნუსხვის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. იანვრის 7-ის დადგენილების განსავითარებლად, ადგენს:

1. ჩატარებულ იქნეს ა/კსფსრ ტერიტორიაზე სოფლად, ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში, 1932 წ. თებერვლის 1-თვის არსებული მდგომარეობის მიხედვით, ოთხფეხი საქონლის ერთიანი აღნუსხვა.

2. საალნუსხვო მუშაობა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ ყველა რესპუბლიკაში დაწყებულ იქნეს არა უგვიანეს თებერვლის 10-სა და დამთავრებულ არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა, წინასწარი ჯამების შედგენის ჩათვლით.

3. ცხენების რაოდენობის აღწერა, რაც ჩატარებული უნდა იყოს თანახმად სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. სექტემბრის 2-ის დადგანილებისა „მეცხენეობის მეურნეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 58 №-ი, მუხ. 374), გაერთიანებულ იქნეს ოთხფეხი საქონლის აღნუსხვასთან.

4. ა/კსფსრ-ში ოთხფეხი საქონლის აღნუსხვისათვის ხელმძღვანელობის გაწევა დაეკისროს ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებს, საალნუსხვო მუშაობაში ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატისა, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის ორგანოების ჩაბმით.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—დაავალონ საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, კოლექტიური მეურნეობების თავმჯდომარეებს, კოოპერატიული მეურნეობებისა და ფერმების გამგეებს და საქონლის მყოლი ყველა სასოფლო და საქალაქო დაწესებულებისა, ორგანიზაციისა და სხვა მისთ. ხელმძღვანელებს—საინვენტარო სიების შედგენა და შემოწმება 1932 წ. თებერვლის 1-თვის ოთხფეხი საქონლის აღწერის ხაზით ჩაატარონ აღნუსხვის პროგრამის მიხედვით.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) დაავალონ საქალაქო საბჭოებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სასოფლო საბჭოებს—გამოჰყონ წარმომადგენელნი და მომუშავენი—ინდივიდუალურ მეურნეობათა სარგებლობაში და კოლმეურნეთა ინდივიდუალურ სარგებლობაში მყოფი ოთხფეხი საქონლის რაოდენობის ერთიანი აღნუსხვის მოწყობისა და ჩატარებისათვის რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიების ხელმძღვანელობით.

ბ) დაავალონ სახელმწიფო საგეგმო კომისიების ადგილობრივ ორგანოებს—შეამოწმონ, საზოგადობრივი და საბჭოთა ორგანიზაციების მონაწილეობით, ოთხფეხი საქონლის რაოდენობის შესახებ აღნუსხვის დროს მიღებული ცნობების სისწორე.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—იხმარონ ღონისძიება, რათა როგორც კერძო, ისე სოციალისტური სექტორის ყველა მეურნეობა აძლევდეს მეუაღნუსხე პერსონალს სწორ ცნობებს თავისი ოთხფეხი საქონლის შესახებ.

საჭირო ცნობების წარუდგენლობისათვის და აგრეთვე არასწორი ცნობების წარდგენისათვის დამნაშავენი აძლიონ პასუხისგებაში კანონისამებრ.

8. დაევალოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს—ჩაატარონ, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და რესპუბლიკანური სახელმწიფო საგეგმო კომისიების წარდგენისამებრ, მომუშავეთა მოკლევადიანი მობილიზაცია ოთხფეხი საქონლის რაოდენობის აღნუსხვის ჩასატარებლად და აღწერის წინასწარი ცნობების გამოსაანგარიშებლად.

9. წინადადება მიცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სასოფლო საბჭოებს—იხმარონ ღონისძიება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს აღნუსხვის პროგრამის სავსებით შესრულება და მისი შედეგების დამუშავება ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ დადგენილ ვადებზე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ტერ-გაბრიელიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. იანვრის 23.
№ 443.
ტფილისი.

მთავლიტი 607. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა ტირაჟი 1.400.